



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/135

“ 15 ” ივლისი 2021 წ.

### ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

#### ი. შენგელისთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ვაკანტურია 2021 წლის 19 აპრილიდან. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის 19-22 აპრილს აღნიშნულ თანამდებობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცხადებული იყო განაცხადების მიღება, მოსამართლეთა განაცხადები მიღებული არ ყოფილა. ვინაიდან აღნიშნული სასამართლოს დატვირთულობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით სასამართლოში თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის არარსებობა უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნამდე ამ უფლებამოსილების ერთ-ერთი მოსამართლისათვის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრების მიერ. საბჭოს მდივნის მიერ წარმოდგენილ იქნა მოსამართლე ირაკლი შენგელიას კანდიდატურა, ვინაიდან მას აქვს როგორც აღნიშნულ თანამდებობაზე, ისე სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარედ მუშაობის გამოცდილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ირაკლი შენგელიას დაეკისროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების განხორციელება, 2020 წლის 16 ივლისიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე